ფილოსოფია-სოციოლოგიის კლასიკური
და თანამედროვე ტექსტები

III

კარლ შმიტი

# ხმელეთი და ზღვა

## მსოფლიო-ისტორიული განაზრება

კარლ შმიტი

# ხმელეთი და ზღვა
## მსოფლიო-ისტორიული განაზრება

გერმანულიდან ქართულად თარგმნა
*გიორგი თავაძემ*

თბილისი
2010

UDC (უაკ) 1+316
ფ-562

**ᲒᲠᲘᲒᲝᲚ ᲠᲝᲑᲐᲥᲘᲫᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ**

**ᲤᲘᲚᲝᲡᲝᲤᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲙᲕᲚᲔᲕᲘᲗᲘ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ**

სამეცნიერო სერია
ფილოსოფია-სოციოლოგიის კლასიკური და თანამედროვე ტექსტები

– თარგმანები –

ტომი 3

სერიის დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი

**თენგიზ ირემაძე**

სარედაქციო კოლეგია:

**გიორგი ბარამიძე**
**ბაჩანა ბრეგვაძე**
**დევი დუმბაძე**
**ლალი ზაქარაძე**
**გიორგი თავაძე**
**გურამ თევზაძე**
**დოდო ლაბუჩიძე-ხოფერია**

© გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა კვლევითი ინსტიტუტი, 2010

ყველა უფლება დაცულია

პირველი ქართული გამოცემა, 2010
ISSN 1987-9660
ISBN 978-9941-416-60-6
გამომცემლობა „ნეკერი“, 2010

# სარჩევი

**წინათქმა** ........................................ 5

*გიორგი თავაძე*
**კარლ შმიტის „პერსპექტივისტული“ ფილოსოფიური გეოგრაფია** ............ 7

*კარლ შმიტი*
**ხმელეთი და ზღვა** .................... 45

§1. პირველი შთაბეჭდილება ხმელეთისა და ზღვის შესახებ ..... 46
§2. რა არის ელემენტი? .................... 51
§3. ხმელეთი ზღვის წინააღმდეგ ....... 54
§4. ოკეანის ნაპირებთან .................. 61
§5. ქება ვეშაპს და ვეშაპზე მონადირეებს ............................. 68
§6. ნიჩბიდან იალქნამდე .................. 75
§7. მეკობრეები და ზღვის ამქაფებლები ............................. 80
§8. ლედი კილიგრიუს ამბავი ............ 85
§9. ინგლისი, როგორც წარმატებული ევროპული ზღვაოსნობის მემკვიდრე ............ 92

§10. რა არის სივრცობრივი
რევოლუცია? ........................... 95
§11. სამი მსოფლიო-ისტორიული
მაგალითი ................................ 98
§12. პირველი პლანეტარული
სივრცობრივი რევოლუცია .......105
§13. ახალი სამყაროს კოლონიზაცია
ევროპელთა მიერ ...................112
§14. ბრძოლა კოლონიურ
სახელმწიფოებს შორის ...........117
§15. ხმელეთი და ზღვა
რელიგიური ომის ფონზე .........120
§16. ბრიტანული კოლონიზაცია
და ხმელეთისა და ზღვის
განცალკევება ........................128
§17. კუნძულის ფერისცვალება ........133
§18. თევზიდან მანქანისაკენ ...........140
§19. მეჰენის დიდი კუნძული ...........144
§20. პლანეტარული სივრცობრივი
რევოლუციის ახალი სტადია ....147

**შენიშვნები** ....................................153

**პირთა საძიებელი** ...............................171

**გეოგრაფიულ სახელთა საძიებელი** .........174

# წინათქმა

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა კვლევითი ინსტიტუტი, წინამდებარე სამეცნიერო სერიის ფარგლებში, საყოველთაოდ ცნობილი გერმანელი მოაზროვნის, კარლ შმიტის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნაშრომს სთავაზობს ქართველ მკითხველს.

ჩვენი მიზანია, რომ ქართულ სააზროვნო სივრცეში ისეთ თეორიულ კონცეპტებს მიექცეს ყურადღება, რომელიც თანამედროვე (გლობალური) სამყაროს მახასიათებლებს მკაფიოდ გამოკვეთს. კარლ შმიტის „ხმელეთისა და ზღვის" (***Land und Meer***) სახით სწორედ ამ ტიპის ნაშრომთან გვაქვს საქმე. მასში მოცემული გეოპოლიტიკურ-ფილოსოფიური კონცეპტები მომავლის მსოფლმხედველობის კონტურებს მოხაზავს. შეიძლება ითქვას, რომ ეს ნაშრომი ახალი (გლობალური) აზროვნების ერთ-ერთი თვალსაჩინო მანიფესტიცაა. აქ ადამიანი სამყაროს უპირობო ცენტრად უკვე აღარ განიხილება და ასპარეზზე გამოდის გეოგრაფიული მუდმივები; ამიერიდან გეოგრაფიული გარემოს სწორედ ამ უმნიშვნელოვანეს კომპონენტებთან მიმართებაში უნდა განსაზღვროს ადამი-

ანმა თავისი ექსისტენციური ყოფიერებისა და აზროვნების არსებითი ორიენტირები.

კარლ შმიტის ნაშრომში „ხმელეთი და ზღვა" კარგად ჩანს, თუ როგორ ქრება სამყაროს ძველი წესრიგი და ღირებულებათა სისტემა; ახალი წესრიგი (ნომოსი) კი ბრძოლითა და წინააღმდეგობებით აღსავსე დროში ძალზე ძნელად იკაფავს გზას. ეს იმითაა განპირობებული, რომ დიდია ადამიანის შიში სიახლის, განსაკუთრებით კი, სიცარიელის წინაშე; თუმცკი ადამიანური ექსისტენციის შეცვლილი პარამეტრები აუცილებლად გამოიწვევს ტრადიციული აზროვნების ცვლილებას, რადგან გლობალიზაციის ეპოქაში მცხოვრები ადამიანის აზროვნება ადეკვატურად უნდა ასახავდეს დროის გამოწვევებს.

*თენგიზ ირემაძე*

*გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი*

*ქ. თბილისი, 31 აგვისტო, 2010 წელი*